ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა

# დეკლარაცია

2005 წლის 6 ივლისს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომელთა საერთო კრება. დღის წესრიგის მიხედვით კრებამ განიხილა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის - "საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" შედეგები. განხილვის საგანს წარმოადგენდა 2005 წლის 28 ივნისის ფაკულტეტის საერთო კრების მიერ არჩეული სპეციალური კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და ფაკულტეტის საერთო კრების გადაწყვეტილების პროექტი. ქვემოთმოყვანილი დასკვნები კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული ფაკულტეტის საერთო კრების მიერ (საწინააღმდეგო ხმა არ ყოფილა).

"საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" სათანადო ინფორმაციული უზრუნველყოფის უკმარობის გამო ბადებს გარკვეულ ეჭვებს:

1. თსუ სამეცნიერო ნაწილის დაფინანსება გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტით. ვის მიერ და რომელი ნორმატიული აქტებით გადაეცა ეს თანხა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტს? მოვითხოვთ, ოფიციალურად იქნას განმარტებული, თუ ვის დაქვემდებარებაში იმყოფება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.
2. არის თუ არა "საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" სამეცნიერო ნაწილის დაფინანსების ძირითადი წყარო? რომელი კანონით, ან კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრება დაუფინანსებლად დარჩენილი ე.წ. "სტიპენდიანტების" უფლებები, რა უფლებრივი განსხვავება იქნება მათსა და დაფინანსებულ თანამშრომლებს შორის?
3. რომელი კანონით ან კანონქვემდებარე აქტით არის განსაზღვრული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ფუნქციები, უფლება-მოვალეობები. ვის მიერ და რის საფუძველზე აქვს მას მინიჭებული სამეცნიერო კვლევათა მართვის ფუნქცია?
4. რა ოდენობის თანხა დაიხარჯა ჩატარებული კონკურსის ორგანიზებისათვის და რომელი ფინანსური წყაროდან?

თსუ ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომელთათვის მიუღებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგი ქმედებები:

1. "საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება" არ არის კერძო პირის, ან უცხო სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხების განაწილება, ამდენად სამინისტროს არა აქვს უფლება საიდუმლოდ შეინახოს საკონკურსო კომისიის წევრების ვინაობა, მითუმეტეს კონკურსის შედეგების

გამოქვეყნების შემდეგ. ანონიმური შესაძლებელია იყოს ამა თუ იმ პროექტის რეცენზენტი, მაგრამ არა ჟიური, რომელიც, სხვათა შორის, პასუხისმგებელია ობიექტური, მიუკერძოებელი და კომპენტენტური რეცენზენტების შერჩევაზეც.

2. არც განათლების მინისტრს, არც დეპარტამენტის ხელმძღვანელს, არც "დანიშნული ფარული კომისიის" თავმჯდომარეს ერთადაც კი რეალურად არ გააჩნიათ იმ დონის სამეცნიერო რეიტინგი, რომ თავის თავზე აიღონ ისეთი წარმოუდგენლად რთული მისიის განხორციელება, როგორიცაა სრულიად განსხვავებული სამეცნიერო მიმართულებების კვლევათა აქტუალურობის შეპირისპირებითი შეფასება. რაც შეეხება დაგვიანებულად დეკლარირებული კრიტერიუმების სხვა პუნქტების რეალიზებას, ასეთი სახით ამ ამოცანის თუნდაც მოკრძალებული სიმკაცრით შესრულება გასანაწილებელი ბიუჯეტის მოცულობაზე უფრო ძვირი დაჯდებოდა! აქედან გამომდინარე, ფაქტიურად კონკურსი არ ჩატარებულა.
3. სამინისტროს მიერ კონკურსად გამოცხადებულ ქმედებებს ყველა ეტაპზე ახასიათებდა გაუმჭვირვალეობა და უაღრესად მწირი ინფორმაციული უზრუნველყოფა. კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა ისე, რომ უცნობი იყო საკონკურსო კრიტერიუმები, დღემდე საკამათოა ვის ჰქონდა კონკურსში მონაწილეობის უფლება, ბუნდოვანი იყო კონკურსის მიზანი და პრინციპები, მუდმივად დალუქული იყო კონკურსის ამსახავი ვებ-გვერდი, საკონკურსოდ წარდგენილი პროექტები და სხვა დოკუმენტები ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ კონკურსის დამთავრების შემდეგ. არ გამოქვეყნებულა საექსპერტო დასკვნები. ანუ, ფაქტიურად, ჩვენ საქმე გვაქვს არა საჯაროდ, არამედ ფარულად და საეჭვო კრიტერიუმებით ჩატარებულ შერჩევასთან.
4. მიუღებელია სამინისტროსა და დეპარტამენტის თსუ თანამშრომლებთან ურთიერთობის ფორმა. საექსპერტო დასკვნების მიწოდებაზე უარის თქმით უხეშად დაირღვა უნივერსიტეტის მეცნიერთა უფლებები. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში მისულ თსუ თანამშრომლებს არათუ სრულ ინფორმაციას არ აწვდიდნენ, არამედ, მათ შეკითხვებს უდიერადაც კი უპასუხებდნენ. საერთოდ, სამინისტროს დამოკიდებულება მეცნიერთა უმრავლესობისადმი გაჯერებული იყო შეურაცხყოფითა და მათი უფლებების იგნორირებით.
5. ხელისუფლების მიერ სრულიად იგნორირებულია უნივერსიტეტის ავტონომია და ყველა მოქმედებაში იჩენს თავს მის მიმართ შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება. ამ ფაქტის ერთ-ერთი სავალალო გამოვლინებაა ის, რომ კონკურსის მომზადებისა და ჩატარებისას საჭიროდ არ ჩაითვალა უნივერსიტეტის ოფიციალურ წარმომადგენელთა თანამონაწილეობა.
6. სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ნოვაციების შედეგად უკიდურესად მძიმე პირობები ექმნება საბუნებისმეტყველო სპეციალობების, განსაკუთრებით კი ფიზიკის განვითარებას. ეს საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, აგრეთვე, ჩვენს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნების შესაძლებლობა.

ფიზიკის ფაკულტეტიდან წარდგენილი და დაფინანსებული პროექტების შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი ტენდენციები: (ისეთ საკითხებს, როგორიცაა კონკრეტული თემის აქტუალურობა, პუბლიკაციების რანგირება და ა. შ., რაც მოითხოვს სპეციალურ მიდგომას, ჩვენ არ ვეხებით, თუმცა ვთვლით, რომ გარკვეული ეჭვის საფუძველი აქაც არსებობს)

- განაცხადი გააკეთა და დაფინანსება მიიღო პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის (პედადაგოგიური შტატების) მხოლოდ ნაწილმა. სხვებს დეპარტამენტის მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დებულების შესაბამისად, რომელიც პროექტების წარდგენას მხოლოდ სამეცნიერო ნაწილის მხრიდან გულისხმობდა, განაცხადი არ გაუკეთებია. ეს ფაქტი თანაბარუფლებიანობის უხეში დარღვევაა.
- გამარჯვებულთა ნაწილს მინიჭებული აქვს უნივერსიტეტში დაკავებული საშტატო ერთეულის ადექვატური პოზიცია, ნაწილი კი დაფინანსდა გაზრდილი ოდენობით, რაც ასევე უთანასწორობაზე მიუთითებს.
- მთლიანად დაფინანსდა ის განაცხადები, რომლებიც დეპარტამენტში მოხვდა ფაკულტეტის გვერდის ავლით.(?!)
- წარდგენილი პროექტების გადარჩევის არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი გამარჯვებული პროექტის შემსრულებლებს შორის ყოველგვარი ნორმის დარღვევით მითითებულია ისეთი პირები, ვინც ფიზიკურად ვერ შეძლებს პროექტის შესრულებაში მონაწილეობას, მაგალითად, იმ მიზეზით რომ ხანგრძლივი მივლინებით იმყოფება საზღვარგარეთ ან საერთოდ არ ირიცხება უნივერსიტეტის თანამშრომელთა სიაში.
- დაუფინანსებელი დარჩა აქტიურად მომუშავე, კვალიფიციურ და პერსპექტიულ ახალგაზრდა მეცნიერთა ერთი ნაწილი, რაც განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი იქნება. ეს ფაქტი დამატებით ადასტურებს ჩატარებული კონკურსის არასრულყოფილებას და ნათელს ხდის მასში უნივერსიტეტის აზრის გაუთვალისწინებლობის სიმცდარეს.
- სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო პრიორიტეტების აღიარების გარეშე სამინისტროს მიერ შემოტანილი დაფინანსების გრადაცია საეჭვო და უსაფუძვლოა. ბუნდოვანია აგრეთვე ერთი და იმავე დონით დაფინანსებული პროექტებისათვის მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხების გამოყოფა ტექნიკური საშუალებებისათვის.
- უცნობია იმ თანამშრომელთა დაფინანსების საკითხი, ვინც ფარულად მონაწილეობდა სამინისტროს მიერ შემნილ საკონკურსო კომისიაში. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, ხომ არ იმალება ამგვარი ფარული თანამშრომლობის მიღმა ინტერესთა კონფლიქტი.

*ხელისუფლების მხრიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტონომიის და მის თანამშრომელთა უფლებების უხეში იგნორირება იმდენად აშკარაა, რომ კონკურსში გამარჯვებულმა თსუ თანამშრომელთა ნაწილმა საჯაროდ განაცხადა უარი გრანტით მოპოვებული ხელფასის მიღებაზე.*

ვითარების უკიდურესი სიმწვავიდან გამომდინარე კატეგორიულად მოვითხოვთ:

- საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ზოგადად, მეცნიერებისადმი და, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი ადექვატურ დამოკიდებულებას, მისი ავტონომიის აღდგენასა და სამომავლო ხელშეუხებლობას.
- საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების კომპენტენტურ განსაზღვრას და შესაბამის კვლევათა ხელშეწყობას.
- სახელმწიფო ბიუჯეტით მეცნიერებისათვის გათვალისწინებული თანხების მიზნობრივ განკარგვას, ანუ უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილისთვის საბაზო სახელფასო დაფინანსების აღდგენას და არავითარ შემთხვევაში შეურაცხმყოფელ "სტიპენდიებს".
- არასწორად ჩატარებული კონკურსის შედეგების ლიკვიდაციას. კონკურსები აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად, ან დამატებითი სახელმწიფო საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად უნდა ჩატარდეს მხოლოდ ღიად, საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესების დაცვით, სახელმწიფო მოხელეთა შეზღუდული მონაწილეობით და სამეცნიერო წრეებში უდავო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთაგან დაკომპლექტებული კომისიების მიერ. დაშვებული უნდა იყოს ყველა იმ დაწესებულების ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელთა თანამონაწილეობა საკონკურსო პროცესში, რომელის თანამშრომლებიც მონაწილეობენ კონკურსში. უნივერსიტეტის ის თანამშრომლები, რომელთაც ნამდვილად ეკუთვნოდათ კონკურსში გამარჯვება, არ უნდა დაზარალდნენ სამინისტროს შეცდომების გამო. კონკურსი ზემოთაღნიშნული პირობების გათვალისწინებით აუცილებლად უნდა ჩატარდეს ხელახლა.
- სამეცნიერო კვლევათა მართვა, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, მოითხოვს სრულიად განსაკუთრებულ მიდგომას. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური პრინციპები, რომელთა დანერგვის მცდელობა ჩვენთან ამჟამად სახეზეა ყველაზე ნაკლებადაა ეფექტური ამ სფეროში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქმედებები ამ მიმართებაში აშკარად უარყოფით შედეგებს იძლევა. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფლება-მოვალეობანი მკაცრად უნდა განისაზღვროს სამეცნიერო საზოგადოების მიერ ერთობლივად გამომუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.
- მკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული მისი საქმიანობის სფერო და უფლება-მოვალეობები.
- სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის "სამეცნიერო კომპონენტის" რეფორმა საქართველოში უაღრესად აქტუალურია და მოითხოვს გაცილებით უფრო ღრმა ანალიზსა და განზოგადოებულ, დასაბუთებულ მიდგომას, ვიდრე ეს დღეისათვის ხორციელდება.

- საგანმანათლებლო-სამეცნიერო სისტემის რეფორმის უარყოფითი გადახრებისათვის პასუხი უნდა აგონ ერთის მხრივ შესაბამის თანამდებობებზე დანიშნულმა სახელმწიფო მოხელეებმა და მეორე მხრივ იმ კომისიის წევრებმა, რომლის შემადგენლობასაც პირველ რიგში უნდა აეხადოს ფარდა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლებს არა გვაქვს ხელისუფლებასთან კონფრონტაციის სურვილი, ვაცხადებთ, რომ ჩვენ უკმაყოფილებას აქვს დასაბუთებული საფუძველი და არ დავუშვებთ, საფრთხე შეექმნას უნივერსიტეტის მიერ იმ ეროვნული მნიშვნელობის ფუნქციის შესრულებას, რაც მას დაარსების დღიდანვე ჰქონდა.